

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს
2011 წლის 21 იანვრის სხდომის
ოქმი №6

წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომას, საბჭოს წევრთა სიითი შემადგენლობის 36 წევრიდან, ესწრებოდა 33. სხდომას ესწრებოდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი არჩილ ფრანგიშვილი. სხდომას უძღვებოდა სტუ-ს წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი, პროფ. ჯემალ გახოკიძე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი (იხ. დანართი) და კენჭისყრაზე დააყენა მისი დამტკიცების საკითხი.

წარმოდგენილი დღის წესრიგი კენჭისყრის შედეგად ერთხმად დამტკიცდა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის პირველი საკითხი – სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის დამტკიცების შესახებ.

რექტორი: მოგესხენებათ, ხარისხის სამსახურის ხელმძღვანელი არის არჩევითი თანამდებობა და, ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მიხედვით, ირჩევა ოთხი წლით. ბატონ სერგო ესაძეს დაუმთავრდა ოთხწლიანი ვადა, რის შემდეგაც შეიქმნა ვაკანტური თანამდებობა. აღნიშნული თანამდებობის დასაკავებლად განაცხადი შემოიტანა ორმა პიროვნებამ: ბატონმა ირაკლი ქვარაიამ და ბატონმა გიორგი ძიძიგურმა. აკადემიურმა საბჭომ ჩაატარა არჩევნები. ბატონ გიორგი ძიძიგურს მხარი დაუჭირა საბჭოს 14 წევრმა, ხოლო მის კონკურენტს – საბჭოს 3 წევრმა. არჩევნების შემდეგ შედგა შესაბამისი ოქმი და სხვა აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად გადმოეცა წარმომადგენლობით საბჭოს გიორგი ძიძიგურის კანდიდატურის დამტკიცების მიზნით.

მინდა ორიოდ სიტყვით დავახასიათო ბატონი გიორგი ძიძიგური, რომელიც არის ტექნიკურ უნივერსიტეტში ცნობილი პიროვნება. იგი უნივერსიტეტის ყოფილი რექტორის, ბატონ არჩილ ძიძიგურის ვაჟია. მოგესხენებათ, ბატონი არჩილის მოღვაწეობის პერიოდი – ეს არის ტექნიკური უნივერსიტეტის წინსვლის პერიოდი. ბატონი გიორგი არის ინფორმატიკოსი, მან მოსკოვში დაამთავრა ასპირანტურა, დაიცვა დისერტაცია. აღსანიშნავი ფაქტია, რომ მას დამთავრებული აქვს ტექნიკური უნივერსიტეტი, იყო კათედრის გამგე, სამეცნიერო სამმართველოს უფროსის მოადგილე და შემდეგ უფროსი. მას 40-მდე პროექტი აქვს შესრულებული ხარისხის მართვის კუთხით, აქედან 14 საერთაშორისო. ამჟამად ბატონი გიორგი, გარდა იმისა, რომ ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორია, მუშაობს საქართველოს საზოგადოებრივ მაუწყებელში და ხელმძღვანელობს ადამიანური რესურსების მართვის

დეპარტამენტს. ეს ძალიან საპასუხისმგებლო და სერიოზული თანამდებობაა. თუ წარმომადგენლობითი საბჭო მის მიმართ დღეს დადებით გადაწყვეტილებას მიიღებს, ბატონი გიორგი განთავისუფლდება საზოგადოებრივ მაუწყებელში დაკავებული თანამდებობიდან და მთლიანად ჩაერთვება ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობაში.

პროფ. გიორგი ძიძიგური: მაღლობას მოგახსენებთ სხდომაზე მოწვევისათვის. მინდა გითხრათ, რომ ჩემი ძირითადი პროექტები და საქმიანობა დაკავშირებულია ხარისხის მართვასთან და, კერძოდ, ადამიანური რესურსების მართვასთან. მე 1995 წლიდან ვთანამშრომლობ ბრიტანეთის ფსიქოლოგთა ასოციაციასთან, მაქვს მათ მიერ გაცემული ლიცენზია სამუშაოს ანალიზში, დაქირავების ტესტირებაში, პიროვნული კითხვარების შექმნასა და გამოყენებაში, შესრულებული სამუშაოს შეფასებაში. დადებითი შედეგების მიღებისათვის ეს სამუშაოები უნდა იყოს მოქცეული ერთიან რაკურსში და გამომდინარეობდეს ერთმანეთისგან. ამ მეთოდებისა და პროცედურების გამოყენება ნებისმიერ სფეროში შეიძლება. ხარისხის უზრუნველყოფის ასპექტში მნიშვნელოვანია სწორედ იმ მექანიზმების შემუშავება, რომლებიც შიდა და გარე ფაქტორების შეფასების საშუალებას იძლევა და, ასევე, უზრუნველყოფს განათლების ხარისხის მუდმივ ამაღლებას. სწორედ ეს უნდა იყოს სამსახურის ძირითადი მიზანი, განსაკუთრებით თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ჩვენი უნივერსიტეტი ვითარდება კონკურენტულ გარემოში. ჩვენი მოვალეობაა ასევე ისიც, რომ რაც შეიძლება სწრაფად მოხდეს ინტეგრაცია განათლების ერთიან ევროპულ სივრცეში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ბატონო გიორგი, თქვენ ალბათ გაეცანით კადრებს, რომლებიც აქ დაგხვდათ. მაინტერესებს, არსებული საშტატო ნუსხითა და პერსონალით შეძლებთ თუ არა იმ ამოცანების გადაჭრას, რომლებიც თქვენ წინაშე დგას და კიდევ როგორ მოხდება გამიჯვნა, კომპეტენციების განაწილება სასწავლო-სამეცნიერო ხელმძღვანელობასა და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს შორის, რა სახით მოხდება ფუნქციების გადანაწილება?

პროფ. გიორგი ძიძიგური: მე გავეცანი საშტატო ნუსხას, მაგრამ არ ვიცნობ თანამშრომლებს, რადგან ჯერ არა ვარ დამტკიცებული. რაც შეეხება ფუნქციებს, ვფიქრობ, პირველ რიგში, უნდა დაიწეროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება, რომელშიც ეს საკითხები იქნება ჩაწერილი.

რექტორი: მინდა აღვნიშნო, რომ აუცილებელია გამიჯვნა. შეუძლებელია დუბლირებები, ჩვენც ველოდებით დებულებას, არ შეიძლება ოპერატიული მართვა დაევალოს იმას, ვინც უნდა აკონტროლებდეს მას.

პროფ. იგორ კვესელავა: ვფიქრობ, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი უნდა იყოს სრულიად დამოუკიდებელი ფიგურა. იგი არ უნდა იყოს მიბმული დეკანთან და თუ ეს ასე არ გადაწყდა, ხარისხის დონე იქნება დაბალი. როგორ ფიქრობთ, პირი, რომელიც მუშაობს ფაკულტეტზე და არის დეპარტამენტის ან მიმართულების ხელმძღვანელი, ან უკავია სხვა თანამდებობა ტექნიკურ უნივერსიტეტში, შეიძლება თუ არა იყოს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი?

პროფ. გიორგი ძიძიგური: ეს რეგულირდება კანონით, ხოლო რაც შეეხება უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურსა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურებს შორის ურთიერთობას, იგი განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებით.

პროფ. ტარიელ კვიციანი: მინდა აღვნიშნო, რომ დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად შესრულებული ნამუშევრების დონე ძალიან დაბალია. მაინტერესებს, როგორ გესახებათ ამ პრობლემის გადაწყვეტა და რა სახის ღონისძიებები შეიძლება გატარდეს მის ასამაღლებლად, ჩაერევა ამაში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური?

პროფ. გიორგი ძიძიგური: ჩემი აზრით, ყველა იმ საქმიანობაში, რომელიც უნივერსიტეტის განათლების ხარისხის ამაღლებასთან არის დაკავშირებული, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური უნდა ჩაერიოს, თუმცა, აუცილებლად დებულების თანახმად მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. რაც შეეხება კრიტერიუმების განსაზღვრას, ეს უკვე სასწავლო-სამეცნიერო ნაწილის საქმეა.

პროფ. გენადი იაშვილი: მე და ბატონი გიორგი რამდენიმე წელი ერთად ვმუშაობდით და მინდა ორიოდ სიტყვით შევეხო მის პიროვნებას. ჩვენ ყველას გვასსოვს მცირე სააქტო დარბაზში მის მიერ ჩატარებული პრეზენტაციები, რომლებიც ძალიან მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული, ასევე აღსანიშნავია მისი ადამიანური თვისებები, მისი დამოკიდებულება კოლეგებისადმი, სტუდენტებისადმი, სწრაფვა სიახლისაკენ, იგი ყველანაირად დადებითი პიროვნებაა და მე მხარს ვუჭერ მას.

სპიკერი: ახლა კი უნდა დავიწყოთ არჩევნების პროცესი. რეგლამენტის გათვალისწინებით უნდა ჩატარდეს ფარული კენჭისყრა, კანდიდატურა დამტკიცებულად ითვლება, თუ მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა დაუჭერს მხარს.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე ერთხმად დამტკიცდა პროფ. გიორგი ძიძიგური.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2011 წლის 21 იანვრის №6 სხდომაზე წარმოდგენილ იქნა საკითხი სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის კანდიდატურის დამტკიცების შესახებ.

საბჭოს წევრთა გადაწყვეტილებით სტუ-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის თანამდებობაზე დამტკიცდა პროფ. გიორგი ძიძიგურის კანდიდატურა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მეორე საკითხი – სტუდენტური თვითმმართველობის 2010 წლის საქმიანობის ანგარიში – მომხსენებელი სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი გიორგი კულდონაშვილი.

გიორგი კულდონაშვილი მოხსენება წარმოადგინა ვიზუალური მასალის თანხლებით. მან საბჭოს წარმოუდგინა სტუდენტური თვითმმართველობის 2010 წლის საქმიანობის ანგარიში.

პროფ.ზვიად კოვზირიძე: წარმატებული სტუდენტების გამოსავლენად ჩატარდა რაიმე სახის ღონისძიება? თუ არის ფაკულტეტებზე გამოვლენილი ასეთი სტუდენტები და მოხდა თუ არა მათი წახალისება რაიმე ფორმით?

გიორგი კულდონაშვილი: ჩვენ განურჩევლად ყველა სტუდენტს ვრთავთ ჩვენს ღონისძიებებსა და პროექტებში.

პროფ. დავით ჯაფარიძე: როდესაც გეძლევათ ბიუჯეტიდან თანხა, შეგიძლიათ თუ არა იმ ფულით გააკეთოთ მიზნობრივი პროგრამა, რომელიც მთელ წელიწადზე იქნება გაწერილი და ასევე ხარჯებიც იქნება აღრიცხული?

გიორგი კულდონაშვილი: ჩვენ უკვე გვაქვს წლის გეგმა, ასევე გათვლილია ფინანსებიც.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ბატონო გიორგი, ძალიან დიდი სამუშაო გაქვთ ჩატარებული, მაგრამ, ჩემი აზრით, პიარის მხრივ არის პრობლემა. ეს ყველაფერი უფრო გახმაურებული უნდა იყოს ტელევიზიით, უნდა მოხდეს მისი გაშუქება.

გიორგი კულდონაშვილი: ჩვენ მიერ ჩატარებული ყველა სახის სამუშაო იდება ჩვენს ვებგვერზე და ხელმისაწვდომია ნებისმიერი პიროვნებისათვის. მინდა აღვნიშნო, რომ ყველა ეს ღონისძიება უფასოა სტუდენტებისათვის.

სტუდენტი ირაკლი გაბისონია: პიარი ძალიან კარგია, მაგრამ ჩვენთვის მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ ჩვენი სტუდენტები იყვნენ კმაყოფილი.

სპიკერი: ბატონ გიორგის მადლობას ვუხდით გაწეული სამუშაოსთვის და დავამატებ, რომ ჩვენი თვითმმართველობა სხვა უნივერსიტეტებთან შედარებით ძალიან გამორჩეულია წესრიგით, მობილიზაციით, კულტურით, მაღალ დონეზე

ასრულებს ძალიან ბევრ სამუშაოს, ახასიათებს მოწესრიგებულობა და პასუხისმგებლობა.

სპიკერი: განვიხილოთ დღის წესრიგის მესამე საკითხი – სტუ-სთან არსებული გიორგი ნიკოლაძის სახელობის სამთო კლუბ „შხარას“ შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება №286 – მომხსენებელი პროფ. ბესიკ ბარკალაია.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ეს ცენტრი დამოკიდებულია ბიუჯეტზე. გამომდინარე იქიდან, რომ ბიუჯეტი უკვე დაამტკიცეს და ეს ცენტრი პროგრამაში არ იყო ნაგულისხმევი, იქმნება შეუსაბამობა ფინანსებთან დაკავშირებით და სჯობია, ჯერ ამ საკითხში გავერკვეთ და შემდეგ მოხდეს მისი დამტკიცება.

სპიკერი: აკადემიურმა საბჭომ იმსჯელა ამის თაობაზე და მიიღო დადებითი გადაწყვეტილება, თუ რაიმე სახის პრეტენზია გვაქვს, შეგვიძლია გადავდოთ ეს საკითხი შემდეგი სხდომისათვის.

განვიხილოთ დღის წესრიგის მეოთხე საკითხი – სტუდენტთა ინოვაციური საქმიანობის ხელშემწყობი საუნივერსიტეტო ცენტრის „ერთად“ შექმნის შესახებ – მომხსენებელი პროფ. მერაბ ახოვაძე.

პროფ. დავით ჯაფარიძე: ძალიან კარგი და მისასალმებელი საქმეა, მაგრამ აქაც იგივე პრობლემაა ფინანსებთან დაკავშირებით. გათვალისწინებულია სამი საშტატო ერთეული, ამას კი სჭირდება თანხები, ეს ყველაფერი უნდა იყოს ასახული ბიუჯეტში. ვფიქრობ, ეს საკითხები ცენტრების შექმნის თაობაზე კიდევ ერთხელ უნდა იქნეს განხილული და ფინანსურად გამართული.

სპიკერი: მესამე და მეოთხე საკითხები ცენტრების შექმნის თაობაზე, ფინანსური პრობლემების გამო, გადადებულ იქნეს შემდეგი სხდომისთვის. წინასწარი განხილვისათვის გადაეცემა შესაბამის კომისიებს, რომლებმაც უნდა წარმოადგინონ დასკვნა.

სპიკერმა, პროფ. ჯემალ გახოკიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრებს აუწყა, რომ დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა, რექტორს და საბჭოს წევრებს მადლობა გადაუხადა სხდომაში მონაწილეობისთვის და სხდომა დახურულად გამოაცხადა.

წარმომადგენლობითი საბჭოს

სპიკერი, პროფესორი

ჯემალ გახოკიძე

სხდომის მდივანი,

სტუდენტი

თამარ ბუზიაშვილი